შ.პ.ს "პალიასტომი - 2004"
ვ. კრატასიუკის 15, 4400 ფოთი, საქართველო
e-mail: paliastomi2004@gmail.com
ტელეფონი: + 995 593 468609

ID: 215103509

"PALIASTOMI - 2004" LTD
15, Kratasiuki str. 4400 POTI, GEORGIA
e-mail: paliastomi2004@gmail.com
Tel: +995 593 468609

საქართველოს გარემოს დაცვის და
სოფლის მეურნეობის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელს
**ბატონ ლევან დავითაშვილს**

#87/20
21.12.2020

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „პალიასტომი - 2004" გეგმავს საკვები პროდუქტების მწარმოებელი მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას. კომპლექსის მშენებლობა იგეგმება სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში სოფელ ყულევთან, მდ. ხობისწყლის პირას განლაგებულ მიწის სამ ნაკვეთზე (ს/კ 45.15.21.310; 45.15.21.312 და 45.15.21.314), სსრკ შავი ზღვის ფლოტის ყოფილი სამხედრო ნავმისადგომის ტერიტორიაზე. ხსენებული ტერიტორია მდინარის შავ ზღვასთან შესართავიდან 3 კმ. დაშორებით არის განლაგებული. საკვები პროდუქტების მწარმოებელი საწარმოს პროფილია ზეთის და ფქვილის წარმოება შავი ზღვის ქაფშიიდან. კომპლექსის საწარმოო სიმძლავრე - 1000 ტონა დღე-ღამეში.
საკვები პროდუქტების მწარმოებელი მულტიფუნქციური კომპლექსის პროექტზე სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს კანონის, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის თანახმად, წარმოგიდგენთ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მომზადებულ სკოპინგის ანგარიშს.

დანართი: 1 კომპაქტ დისკი.

პატივისცემით,

შპს „პალიასტომი-2004"-ს
დირექტორი ფატა ჟღენტი

20259
23-12-2020